# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №38
## 2018 წლის 29 ივნისი

## ქ. საგარეჯო

**,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

1. შევიდეს ცვლილება ,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/02/2018, 010250050.35.165.016303) და დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საბჭოს მდივნის, საკრებულოს წევრების, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შერჩეული პირის/პირების, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, რომელთაც აქვთ გენდერულ თემებზე მუშაობის გამოცდილება ან/და ინფორმირებულობა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული სხვა პირებისაგან. საბჭო შდგება არანაკლებ 8 წევრისაგან.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ოთარ ჩალათაშვილი**